ხელშეკრულება N98
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

30 ივნისი 2017 წელი

გამარტივებული შესყიდვა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის თანახმად

ერთის მხრივ, **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი,** წარმოდგენილი საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის დავით კიკვიძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქუჩა N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851377
და მეორეს მხრივ, **სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო",** წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თი-ბი-სი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა GE15TB1100000110467697

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (Hyundai Santafe, სახელმწიფო ნომერი: VWW-277, გამოშვების წელი 2012) შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა დანართის (ფასების ცხრილი) შესაბამისად (CPV 50112000).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **5370,00 (ხუთიათას სამასსამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანისთვის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2017 წლის 4 ივლისის ჩათვლით.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი.

მუხლი 5. მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ახალი, ხარისხიანი და შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ანგარიშფაქტურის და დეფექტური აქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5 თითოეული მხარე ვალდებულია 13.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. დამატებითი პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
დავით კიკვიძე	**დავით გიორგობიანი**
საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი	სს „პიუნდაი ავტო საქართველო“-ს პრეზიდენტი

დანართი

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1.	სალნიკი	1 ცალი	25	25
2.	ატაფილტრი	1 ცალი	80	80
3.	ატფ ზეთი	8 ლიტრი	25	200
4.	რედუქტორი (CUP-DIFF CASE)	1 ცალი	270	270
5.	მილისა	2 ცალი	50	100
6.	სალნიკი	1 ცალი	35	35
7.	ბრუნვის გამაძლიერებლის „რაზდატკის“ კბილანა და ღერძი (SHAFT SET-HYPOID GEAR)	1 ცალი	2950	2950
8.	„რაზდატკის“ პაჩებნიკი დიდი (BEARING)	1 ცალი	320	320
9.	სალნიკი	1 ცალი	30	30
10.	გადაცემათა კოლოფის საკისარი	1 ცალი	135	135
11.	გადაცემათა კოლოფის სალნიკი	1 ცალი	40	40
12.	სალნიკი	1 ცალი	40	40
13.	ტრანსმისიის ზეთი (80/w90 AX)	1 ლიტრი	25	25
14.	„რაზდატკის“ პაჩებნიკი პატარა (BEARING)	1 ცალი	200	200
15.	გადაცემათა კოლოფის მოხსნა/დაყენება			300
16.	გადაცემათა კოლოფის აღდგენა			500
17.	რაზვალნი ტულკების შეცვლა	2 ცალი	40	80
18.	თვლების განშლა (რაზვალის გასწორება)			40
ჯამი				**5370,00 ლარი**

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:

დავით კიკვიძე

საფინანსო-სამეურნეო
დეპარტამენტის დირექტორი

მიმწოდებლის მხრიდან:

დავით გიორგობიანი

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს
პრეზიდენტი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2017 წლის 30 ივნისი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა 2017 წლის 30 ივნისის N98 ხელშეკრულების გაფორმების პროცესში არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო"):

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი:

საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის

დირექტორი ---------- დ. კიკვიძე

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი:

საფინანსო-სამერუნეო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი

შესყიდვების დარგში ---------- ო. პეტრიაშვილი